20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

15/02/2024 N 80

თბილისი

ინდივიდუალური მეწარმე ,,თეონა გუგუმბერიძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის საქმიანობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე–9 პუნქტის და მე-12 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეწყდეს ინდივიდუალური მეწარმე ,,თეონა გუგუმბერიძის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 21001040654) ვალუტის გადამცვლელ პუნქტზე გაცემული ფილიალის საქმიანობის ნებართვა, მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N131;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ინდივიდუალური მეწარმე ,,თეონა გუგუმბერიძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2022 წლის 5 სექტემბრის N265 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი